ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №206

(CPV: 64113000 - ამანათებთან დაკავშირებული საფოსტო მომსახურებები)

თბილისი 03 სექტემბერი, 2013 წელი

ერთის მხრივ - **სსიპ - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მმართველის მოვალეობის შემსრულებლის **ზურაბ გეწაძის** სახით და მეორეს მხრივ - **შპს „ჯორჯიან ექსპრესი"** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **მალხაზ პაპელაშვილის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია საკუთარი შემოსავლების სახსრებით ამანათთან დაკავშირებული საფოსტო მომსახურების (ექსპრეს-საკურიერო ფოსტით დოკუმენტის - ხელშეკრულების გაგზავნა საფრანგეთში, პარიზში) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

N	პროდუქციის დასახელება	რაოდენობა	განზომილება	ერთეული ს ფასი (ლარი)	ჯამური ფასი (ლარი)
1	დოკუმენტის (ხელშეკრულება) გაგზავნა პარიზში	1	ც	96.00	96.00
საერთო ღირებულება					*96.00 ლარი*

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **96,00 (ოთხმოცდათექვსმეტი) ლარს,** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. მომსახურების მიწოდების ადგილია - თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ.№164-დან ქალაქი პარიზი, ხოლო მიწოდების თარიღი - ხელშეკრულების გაფორმებიდან **2013 წლის 10 სექტემბრამდე.**

4.3. მომსახურების მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.